№ 87, პარასკევი 17 იანვარი 1897 წ. 1896—1—97 პარასკევი 17 იანვარი 1897 წ. № 87.

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
✦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✦
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
სურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, а въ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—22)

ზამთრის ბაღი
(თეატრის რესტორანი)
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო თეატრთან.
რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყვეს
მშვენიერსა და საუცხოვო ბუფეტში მუდმივ მზად არის
ყოველგვარი საჭმელ-სასმელი
ადგილობრივ და ევროპიულ გემოზე.
საჭმელები მზადდება ყოველთვის ახალ სანოვაგედგან კარაქზედ
ფასი ყველაფერზე იაფია, მაგალითად:
1) სადილი 4 რიგი საჭმელისა, რუმკა არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო და ფინჯანი ყავა ღირს ერთი მანათი.
2) სადილი 2 რიგი საჭმელისა, რუმკა არაყი და დიდი ჭიქა ღვინო 50 კაპ.
ბაღში ყოველ-დღე მუსიკა უკრავს
ბაღი და რესტორანი განათებულია ელექტრონის სინათლით.
ვღებულობ შეკვეთას სადილ-ვახშამზე ას და ორას პირთათვის.
იქვე რესტორანთან კერძო ოთახებში გამართულია ბილიარდები.
გიორგი ნიკ. სხირტლაძე
„Зимній садъ“ *при театрѣ Грузинскаго Дворянства.*
10—ფ.—6).

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის
დიდ ალბომზე
„საქართველო სურათებში“
ალბომში (8×6 ვერშოკი) მოთავსებულ იქნება ორასი სურათი საქართველოს შესანიშნავ დაბა-ქალაქებისა, ციხეებისა, ეკკლესიებისა, მონასტრებისა და სხვ. ყოველ სურათს ექნება შესაფერი ახსნა ქართულსა და რუსულს ენაზედ.
ფასი ალბომისა საუცხოვო ყდით და გაგზავნით 5 მანათი.
გამოსვლის შემდეგ ალბომი ეღირება 8 მანათი.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში: თვითონ გამომცემელ ივანე როსტომაშვილთან (გრაფის ქ., № 5); „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში (არწრუნისეულ ქარვასლაში) და ექვთიმე ხელაძის სტამბაში (ლორის-მელიქოვის ქუჩაზე).

ქართული თეატრი
კვირას, 19 იანვარს, 1897 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ აბაშიძისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:
ახალი პიესა
[illegible]ოვონილი დეიდა
ანუ
სტუდენტი იუბკით
ვარსი 3 მოქმ. ტომასისა, თარგ. შათირიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, კუნდელი და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

„ახალი მკითხველი“
მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემებზე.
ფასი მთელი წლისა 3 მანათი.
შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.
ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель“. Ивану Павловичу Ростомову.* (30—10)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. ბროცკასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. ბროცკასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

ვექილი
გ. ბ. გვაზავა
ვკისრულობ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.
(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).
დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.
ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—8)

მოთხრობა
თავადის ქალი
შრომა ჰ. ფუფუნება,
თარგმნილი და გამოცემული ნ. ავალიშვილისაგან.
ისყიდება: ტფილისში—ყველა წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილთან და ივლიანე ხეთერელთან; ბათომში — კონსტანტინე თავართქილაძესთან; ყვირილაში — ალექსანდრე არაბიძესთან; ხონში—ძმ. წერეთლების მაღაზიაში; გორში —არსენ კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და მიხეილ ცისკარაშვილთან; მაჩხაანში—დიმიტრი ნადირაძესთან და განჯაში—სოლომონ დოლიძესთან. ფასი სამი აბაზია.
(6—2).

აბრეშუმის ჭიის თესლი
ბაღდადის ჯიშისა (ოსმალეთიდამ) თესლი დამზადებულია პასტერის სისტემაზედ.
კარგად მომზადებული ჭიის თესლი პასტერის სისტემით, როგორც მოეხსენებათ ნასწავლ მეაბრეშუმეთ, კარგის მომვლელის ხელში ერთი მისხალი იძლევა 30 გირვანქა ჭიის პარკს. ეს თესლი იყიდება პატარა ყუთებით, შვიდ-შვიდი მისხალი თითოში.
მსურველმა უნდა მიმართოს დ. ხონში სარდიონ დუკას—მე დოიძეს.
(8—6)

ახალი ამბავი

—

*** გაზეთი „ივერია“. დღეს გამოვიდა პირველად გაზ. „ივერია“ რვა თვის აკრძალვის შემდეგ. სულით და გულით ვუსურვებთ პატივცემულს გაზეთს მართებლობით წინ სვლას და საზოგადოების სამსახურს. «ივერიას» წელს შეუსრულდება ოცი წელიწადი, რაც დაარსებულ იქმნა იგი თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მიერ, ხოლო ყოველ-დღიურ გაზეთად გამოდის 1886 წლიდან.

*** გაზ. «ნოვ. გრ.» სწერს, უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს გააუმჯობესოს ეხლანდელი მდგომარეობა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებისა.

*** კავკასიის სტიპენდიები. კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილემ, ბ-ნ იანოვსკის მოხსენების მიხედვით, დაუნიშნა კავკასიის სტიპენდიები ამა წლის იანვრიდგან შემდეგ სტუდენტებს: მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს — ნიკოლოოზ გერვასის, თ. ლეონიდ მაყაშვილს, ნიკოლოოზ ელიავას, კონსტანტინე ელიოზოვს და ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტს ივან სტანიშევსკის.

*** რადეცკის ლექციები. ამ დღეებში ტფილისს მოვა ცნობილი ლექტორი ი. რადეცკი და ლექციებს წაიკითხავს ბავშვების აღზრდაზე. ი. რადეცკი მეტად მხნე მოღვაწეა და გამსჭვალული სურვილით, დაეხმაროს ბავშვების რიგიან აღზრდის საქმეს. გამოჩენილი მწერალი და იურისტი პ. ობნინსკი სწერს რადეცკის შესახებ, რომ ეს კაცი ძლიერ მხნე და თავის საქმის ერთგული მოღვაწე არისო. იგი დიდი ხანია, რაც დაუღალავად იბრძვის ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის და ძლიერ კარგად შეუსწავლია ეს საგანი.

*** ბიორნსტიერნ-ბიორნსონის წერილი. პეტერბურგის რუსულ გაზეთ «ს.-პეტ. ვედ.»-ში დაბეჭდილია ნორვეგიის გამოჩენილის მწერალის და დრამატურგის წერილი ამავე გაზეთის რედაქტორის მიმართ. განთქმული მწერალი შეეხება შვეციის და ნორვეგიის პოლიტიკურ დამოკიდებულებას ურთიერთ შორის და, სხვათა შორის, ამბობს, რომ სასურველია ჩრდილოეთის პატარა სახელმწიფოებმა ერთად მოიყარონ თავი და საერთო კავშირი შეადგინონო, ხოლო ამავე დროს დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთ შორის უნდა აღგვითქვან ხელუხლებლობა (ნეიტრალიტები).

*** ყვავილი ბათომში. 14 იანვარს, ბათომში 20 ავადმყოფი ყოფილა ყვავილით.

*** სამკურნალო დეპარტამენტი ათს ექიმსა ჰგზავნის სხვა-და-სხვა ადგილებში სასანიტარო ღონისძიებათა მისაღებად. ამათში სამი ტფილისში იქმნება გამოგზავნილი, სამი რეშტში და ოთხიც სპარსეთის საზღვარზედ.

*** ახალი განკარგულება. „მთავრობის მოამბეში“ გამოცხადებულია, რომ მთავრობამ გააუქმა სააქციზო წესდების 303 მუხლი, რომლის ძალითაც ამიერ კავკასიის ბაღვენახების პატრონებს აქციზს არართმევდნენ იმ არაყში, რომელიც გადადებულ იყო სახლში სახმარებლად და მუშებისათვის.

*** ფილოქსერა და ელექტრონი. კუნძულ ელბას სატახტო ქალაქში გერმანელმა ფუქსმა წაიკითხა მოხსენება ფილოქსერის გაწყვეტისა ელქტრონით. ფუქსს თან უცდია ეს საშუალება და აღმოჩნდა, რომ ელექტრონის ძალა ერთს წუთში სწყვეტავს ფილოქსერას მთელს ვაზში.

ეროვნული [illegible]

⁂ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოება** აცხადებს, რომ იგი წელსაც, როგორც სხვა წლებში, გაუგზავნის ვენახეებს ვაზის წამლობისათვის საჭირო მანქანას, გოგირდს და სხვ. და თხოვს მემამულეთ: ეხლავე შეატყობინონ, ვის რა სჭირდება ვაზის წამლობისთვის, რომ ყველაფერი თავის დროზედ მიუვიდეს.

⁂ **ქართულ დაბადების შესასწორებლად შემდგარ კომისიის საურადღებოდ.** როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, ქართულ დაბადების შესასწორებლად ტფილისში არქიმანდრიტ ლეონიდის თავჯდომარეობით შემდგარია კომისია. სასურველია და საქმისათვის ფრიად სასარგებლო, ჩვენის აზრით, ამ კომისიაში ვინც უკვე ამორჩეულნი არიან, იმათ გარდა მოწვეულ იქმნენ საერო წოდების პირნი, მცოდნენი ქართულის ძველისა და ახალის როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობისა. მართალია, ჩვენში ასეთნი თითით ჩამოითვლება, მაგრამ ასეთს საშვილიშვილო საქმეში უეჭველად უნდა მოვიწვიოთ და მათი ცოდნა და გამოცდილება გამოვიყენოთ. კომისიაში რაც ოფრო ბევრნი იქმნებიან, მით უფრო სასურველია, მეტადრე იმ კომისიაში, რომელმაც თავს უნდა იდვას გადაშინჯვა და შესწორება ჩვენის სასულიერო მწერლობის განძისა.

⁂ **ქურდობა.** 15 იანვარს, დილის 7 საათზედ, აღმოჩნდა, რომ ვილაას გაუქურდავს მიხეილის ქუჩაზედ მცხოვრები ა. ბ. ლუკასოვი და მოუპარავთ ძვირფასი ნივთები, თამასუქები, ბანკის ბილეთები და ფული. ი საქმის გარემოება. ლუკასოვის მსახურემ ივანე გუშჩინმა დილის 7 საათზედ უთხრა მზარეულს, ბატონის კაბინეთში მინდოდა შევსულიყავ და კარი გავაღე თუ არა, ორი კაცი დავინახე და ერთი მათგანი ხანჯლით დამემუქრაო. მზარეულმა უპასუხა: „რას ამბობ, აბა წავიდეთ, ვნახოთო". მზარეული წავიდა კაბინეთისაკენ, მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვდა. ამ კარის გასაღები გუშჩინს ჰქონდა ჯიბეში, კარი გააღო და მზარეულს უთხრა, შენთან რომ მოვდიოდი, კარი დავკეტე, ქურდები არ გაქცეულიყვნენო. შევიდნენ ოთახში, ქურდები ირსადა სჩანდნენ, ხოლო რკინის ყუთი, რომელშიაც ფული და თამასუქები ინახებოდა, ღია დახვდათ. მზარეულმა იკითხა: „აბა ქურდები სად არიანო?" გუშჩინმა უპასუხა: „უეჭველია, ქვემო სართულის დერეფნის ფანჯრიდგან გაიპარებოდნენო". ქვემო სართულში, რომ ჩამოვიდნენ, მზარეულმა ნახა, რომ ფანჯრის დარაბა ორ ადგილას ბურღითი იყო გახვრეტილი, და ფანჯრის ერთი მუშაც გატეხილი ვითომ იმისთვის, რომ ფანჯარა გაეღოთ; ხოლო გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ გვარად კაბინეთში შესვლა შეუძლებელ იყო. კაბინეთის მდიდრული მორთულობა ხელ-უხლებელი აღმოჩნდა. ქურდს არჩეულის გასაღებით ჯერ სტოლის ის უჯრა გაუღია, რომელშიაც ორი გასაღები ინახებოდა და გაუღია კასსა, რომელსაც საიდუმლო კლიტე აქვს; ქურდს კარგადა სცოდნია საიდუმლო კლიტის გაღება. ჯერ კასსიდგან ამოუღია ფული, თამასუქები და ბილეთები, მერე მეორე გასაღებით გაუღია პატარა ყუთი, ამოუღია ძვირფასი ნივთები, ჩაუწყვია ყველაფერი წამოსასხამში, რომელიც იქვე ყოფილა და წაუღია.

აღმოჩნდა, რომ გუშჩინს სტყუოდა იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინა ქურდობა და ამიტომ ისიცა და იმის საყვარელიც, რომელიც ლუკასოვთან იყო მოსარეცხედ, და რომელზედაც გუშჩინი ამბობდა, ჩემი ცოლი არისო, ორთავენი დაატუსადეს.

ქურდს წაუღია: 15 მომგებიანი ბილეთი და თამასუქები, სულ 46 ათასი მანათისა. ბილეთები ტფილისის საკომერციო ბანკისა, ნაღდი ფული 640 მ., ვერცხლის ყუთი, ოქროსი და ძვირფასის ნივთებით 4 ათასი მანათისა.

საქმეს იძიებენ ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ა. ივანოვი და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი გ. დანილოვი.

⁂ **ქ. გორი. მუსიკალური საღამო სკოლაში.** დღეს, 14 იანვ., ქ. გორის სამასწავლებლო სემინარიის ეკლესიის დღეობა იყო. წირვა და ლოცვა ქართულს ენაზედ იყო, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. იმ დღესვე, საღამოს 6 საათზე, სემინარიაში ჰქონდათ სალიტერატურო საღამო, რომელზედაც შეგირდები სემინარიისა აჩვენებდნენ ხალხს დაბურულს სურათებს (туманныя картины) და თვითვე შეგირდები ჰხსნიდნენ ამ სურათის შინაარსს. აგრეთვე სემინარიის მოსწავლეთა და დედათა პროგიმნაზიის ხოროებმა ერთათ, რაც შეეფერება კარგად შეასრულეს რამდენიმე რუსული სახალხო სიმღერები და ბოლოს სემინარიის ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე „მარში", რის შემდეგაც ხალხი ძრიელ კმაყოფილი დაიშალა საღამოს 9 საათზედ. საზოგადოდ საღამომ ფრიად მხიარულად და მწყობრად ჩაიარა.

⁂ **სოფლის მწერალი ქალი.** სიროპიატკის სოფლის სამმართველოს მწერლად დანიშნულ იქმნა ქალი პ—ისა, რომელსაც უმაღლეს კურსებზედ აქვს სწავლა მიღებული. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ქალი მშვენივრად აწარმოებს, თურმე, თავის საქმეს, ტობოლსკის გუბერნატორს უბრძანებია, რადგანაც კანონში არ არის მოხსენებული, შეუძლიან თუ არა ქალს ამ თანამდებობის ასრულება, ამიტომ ექვსის თვის ვადა მიმიცია ქალისათვის, რომ სხვა სამსახური მონახოსო.

გაზეთი „ციმბირი" სამართლიანად ამბობს, თუმცა კანონში არ არის მოხსენებული, რომ ქალს უფლება ჰქონდეს სოფლის მწერლის თანამდებობისა, მაგრამ არც აკრძალულია ქალებისათვის ამ თანამდებობის ასრულებაო. კანონში არც ის არის მოხსენებული, მამულის პატრონს ქალს ხმა უნდა ჰქონდეს თუ არა სოფლის კრებაზედ, მაგრამ სენატმა ეს საქმე გაარჩია და ისე გადასწყვიტა, მემამულე ქალს სოფლის კრებაზედ ხმის უფლება უნდა ჰქონდესო.

⁂ **თელავი. ქართული საღამო.** 12 იანვარს თელავის კლუბის დარბაზში გამართულ იყო სცენის მოყვარეთაგან სასიმღერო, სამუსიკო და სალიტერატურო საღამო, რომელსაც დაესწრნენ სწორედ იმდენნი, რამდენი ადგილიც-კი იყო, გარდა ხუთისა. ეს საღამო ძალიან შესანიშნავია იმ მხრივ, რომ იგი პირველია, არა თუ მარტო თელავისათვის, არამედ სუყველა ჩვენის სამშობლოს მაზრის ქალაქებისათვის. საქმე ის არის, რომ მთელი საღამო, გარდა სამის სალიტერატურო და ორის სამუსიკო (პიანინოზედ) №№, შესდგებოდა ქართულის სიმღერებისაგან. სულ იმღერეს 18 სიმღერა, მომეტებული ხორომ და ზოგიც კვარტეტი. აქ იყო ხალხური კახური სიმღერებიც, ქართლულიც, იმერულიც, მეგრულიც, გურულიც, სვანურიც და ერწო-თიანურიც. მართალია, იყო ევროპიულ კილოზედაც, მაგრამ შეზავებით. როგორცა ვსთქვით, არ ყოფილა მაგალითი, რომ სცენის მოყვარეთ სადმე და როდისმე ასეთი საღამო გაემართნათ. მე არ შევალ იმის განხილვაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამისთანა საღამოებს ჩვენთვის, ამას თვით მკითხველი მიხვდება, თუ გაიხსენებს ჩვენს ყოველმხრივ დაქვეითებას და მასთან სიმღერების მხრივ განსაკუთრებით. თანაც თუ მოიგონებს, რომ სიმღერების მცოდნეთა რიცხვი ასე სასტიკად ცოტავდება და ეს დარგი ცოდნისა უყურადღებოდ არის დატოვებული ჩვენს ცხოვრებაში სიყრმიდგან სიბერემდე. თუმცა ნიჭით ბუნებას უხვად დაუსაჩუქრებია ქართველი.

ხოროში მონაწილეობას იღებდნენ ექვსი ქალი, რომელთა შორის ლეჩაქოსანიც ერია. ნუ დაივიწყებთ, რომ ამათში იყვნენ სამნი დანი აკერმანნი, რომელთაგან არც ერთმა არც ერთი ქართული სიტყვა არ იცის. უნდა გაგეგონათ, როცა რომელიმე მათგანი პირველს ამბობდა ხალხურს სიმღერაში „გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო ჩემო, რკინაო" და სხვ. იტყოდით, დიდი სიყვარული უნდა მიუძღოდეთ ამათ ქართული სიმღერებისადმი, რომ ასე უნაკლულოდ შეუთვისებიათ ხალხური კილოო. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ორნი დანი ელიოზიშვილისანი, რომელთაგან ლეჩაქოსანმა სწორედ რომ ასახელა ქართველი ქალის ლეჩაქი. ქქ. ბარბარე სულხანიშვილისა და დარია აკერმანისა საკვირველად მწყობრივ ამბობდნენ სუყველა სიმღერებში მეორესა, ანუ მიძახილსა.

რვა ყმაწვილი იღებდა მონაწილეობას და ყველანი საუკეთესოდ იყვნენ დახელოვნებულნი სუყველა სიმღერებში. განსაკუთრებით სიფხიზლით და ხელოვნებით აღასრულებს ხალხური სიმღერები.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ქქ. ვოლოხოვისა და შირსკისა, რომელთაც იმის და მიუხედავად, რომ კლუბის პიანინო თავად მოუწყობელი აღმოჩნდა, თვისი ხელოვნური ცოდნით დაჰფარეს ნაკლულევანება საკრავისა და დაატკბეს დამსწრეთა სმენა.

წაკითხული იყო სხვათა შორის უკანასკნელი ლექსი კასკა ერისთავისა „მეყვარები" ქ. ბარბარე სულხანიშვილისაგან და უკანასკნელი ლექსი შიო მღვიმელისა „მუხა" ბ. ილია ზურაბიშვილისაგან. ორივემ დიდი აღტაცება გამოიწვიეს. ბ. ზურაბიშვილი ოთხჯერ გამოიწვიეს, ძლივს დაიხსნა თავი, თქმა არ უნდა, იკითხავს მკითხველი, ვინღა მოამზადა მაგრე საუკეთესოდ მომღერალნიო, ვინ იყო მაგათი ლოტბარიო. ეს გახლავთ, ბატონო, გალობას მასწავლებელი ნიკოლოზ სულხანიშვილი. მე იმას ქებას არ დავუწყებ, ზემორე ნათქვამი თავის თავად ლაპარაკობს იმაზედ; მე მინდა ვსთქვა, რომ მრავალი ბ. სულხანიშვილისთანა და ბევრად უკეთესნიც გვყვანან სხვა-და სხვა ქალაქებში, ყველა მათგანმა რომ წელიწადში თვითო ამისთანა საღამო გამართონ, წელიწადში ორასზე მეტი ქალი და კაცი 18 ქართული სიმღერის ხელოვნურად მცოდნე შეგვემატებოდა. ნათქვამის ნახევარი რიცხვიც შეგვემატოს დიდი რამეა.

⁂ **სოხუმი. ციების შემცირება და ჭლექიანები.** სოხუმი და ციებ-ცხელება ამ რამდენისამე წლის წინად სინონიმები იყო. ეს გარემოება ავადმყოფებს, მეტადრე ჭლექიანებს, ძალიან აფრთხობდა. გარნა უკანასკნელ ხანში ციებ-ცხელება სოხუმში, ლამის არის, სულ მოისპოს. წარსულ ზაფხულს, მაგალითად, კანტი-კუნტად თუ იყო ციება ამ ქალაქში. ციების შესუსტებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სოხუმის გარშამო ჭაობები გააშრეს.

ავადმყოფები წლეულ სოხუმში, ჩვეულებრივ, ბლომად მოვიდნენ. უბინაობამ ძალიან გაუჭირა საქმე ახალმისულებს. მთელს სოხუმში სამადსამი სასტუმროა. ერთს დროს ყველა სასტუმროებში თავისუფალი ოთახების შოვნა აღარ იყო, ისე კერძო ბინების შოვნაც გაჭირდა: ჯერ ერთი ძვირია აქ სახლები, და მეორეც, ყველა სახლებს ერთი და იგივე ნაკლულევანება აქვს: ყველა ნოტიოა ძალიან დაბლა დგანან მიწაში. დრო-კი არის აქაურმა სახლის-პატრონებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და შემდეგში მაინცა თავიანთი სახლების საძირკველი ცოტა მაღლა აიყვანონ. მაშინ აღარც სინესტე იქმნება ოთახებში და კარგ ფასებშიაც გააქირავებენ პატრონები.

⁂ **ქ. განჯა. ქართული საქველმოქმედო საღამო.** წელს, იანვრის 25-სთვის განჯელი ქართველობა აპირობს განჯის კლუბის დარბაზში ქართულ საღამოს გამართვას. განჯაში ქართული საღამო ყოველ წლივ იმართება სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საქმეების სასარგებლოდ. წრეულს მთლად წმინდა შემოსავალი დანიშნულია უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. გადაწყვეტილია, რომ ყველა ქალაქებში, სადაც ქართველი სტუდენტობა სწავლობს, უნდა შეეკითხონ თითონ სტუდენტებს: ვის უფრო უჭირს იმათში დახმარება და ვისაც თითონ სტუდენტები დაასახელებენ, შემწეობა იმათ მიეცეთ. საღამოს პროგრამა შემდეგია: წარმოადგენენ ქართულ ორ მოქმედებიან კომედიას «მე მინდა კვეინა გავხდე", რომელშიაც სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი არტისტები ბ. ვას. აბაშიძე და ქ. გაბუნია-ცაგარლისა. წარმოდგენას მოჰყვება ქართული სიმღერები, რომლებსაც შეასრულებს ბ. ბეჟანიშვილისაგან შედგენილი განჯელი ქართველი, ქალებისა და ვაჟების ხორო. შემდეგ გაიმართება [illegible]რი და მერე ევროპიული ცეკვა-კოტილიონით. საღამოს გამგე განჯელმა ქართველობამ ამოირჩ ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩე ლისა, რომლის სახელობაზედაც უ და გამოიგზავნოს ამ საქმისთვის ყო ველი კერძო შემოწირულება. აქ სა ჭიროთა ვრაცხთ ვაცნობოთ საზო გადოებას, რომ უმთავრესს ნაწილ შემოსავლისას განჯის საღამო იძლე კერძო შემოწირულებიდგან. ეს უკა ნასკნელი შესდგება უმეტესად პატ ვცემულ პირთა შემოწირულებიდგა, რომლებსაც ეგზავნებათ განჯის ქარ თველობისაგან საპატიო ბილეთები და თითონ კი საღამოს ვერ ესწრ ბიან.

⁂ **სიღნაღი.** ეხლა ხან ჩამოვი საზღვარ გარეთიდან ჩვენი ექიმი ბ. ნი ნაუმენკო, სადაც ხუთი თვე იყო იგი თვალების ავადმყოფობის პრა ტიკულად შესასწავლად. მოს ლისათანავე ბ-ნ ნაუმენკ [illegible] ძალი ავადმყოფები მიაწყდა. ნაუმენკომ თავისი ტკბილის ქც [illegible] ბეჯითი ექიმობით საერთო [illegible] ყვარული დაიმსახურა აქაურებში, მეტა რე გლეხკაცობა ძლიერ [illegible] დლის, რადგან ღარიბთ და შეუძლ [illegible] მუ თად აქიმობს და ხშირად ნი [illegible] იერ დაც ეხმარება მათ.

⁂ **ჩოხატაური (გურია).** აქაუ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა სხვა ისთანა პატარა დაბების მსგავსად დ ცირებული არის, მაგრამ მაინც ა ურმა ზოგიერთმა ვაჭართაგანმა ვე გამოიშორა თავი აქაურ ძველ და ტვრეულ ხის შენობებისაგან. ერთი წლის წინეთ დაიწყეს ჩვენ ზოგიერთ ვაჭრებმა ქვის დუქნის გ შენება და კიდევაც გააშენეს შვიდ რვა დუქნამდინ. ხალხი ძლიერ მოხა რულ იყო, ძლივს გაგვიმშვენიერდე ბა ჩვენი დაბაო, მაგრამ საუბედუროდ მიმბაძველები არავინ აღმოჩნდა ვაჭ რებთა შორის და ხის შენობები გა ფუჭებულ კბილსავით ყველას გვე წუხებს. ძველი მინგრეული დუქნ ბის თავი ან მოცილება კი უსათუოდ კარგი იქმნებოდა დაბისათვის და თვით მედუქნებისათვის. მერე მასა ლა მაინც ძვირი იყოს, თორემ ყო ველისფერი საჭირო მასალა ქვითკი რის შენობისათვის აქვთ და შედარე ბით ძრიელ იაფადაც.

⁂ **ახალი გამოცემა ქართველთ ამხანაგობისა.** «ამხანაგობის» სტამ ბაში ცალკე წიგნად იბეჭდება რომ მანი ჰენრიკ სენკევიჩისა „ცეცხლი თა და მახვილითა, (რომელიც შარ შანდელ «მოამბის» ნომრებში იბეჭდე ბოდა), თარგმნილი გრ. ყიფშიძის მი ერ. წიგნი ერთ დიდ ტომად გამოვა «მოამბის» ტანისა და შეიცავს 1,00 გვერდამდე. ხსენებული რომანი გ სასყიდად მზად იქმნება ამ ორს კვ რაზე.

⁂ **სოფ. ქარალეთი. ქურდობა** რაც ცხინვალის ხეობის ბოქაულა ნამყოფი გუგუშვილი გადაიყვან აქედგან, მას აქეთია ცხინვალის ხე ბის ოსებს ისევ თავს გაუვიდათ ცელქობენ და ნავარდობენ ღამ-ღ მობით სხვის ქონება-სარჩოზედ. ერ ხანათ მათი თავგასულობა ისე ალა მა ბ-ნმა გუგუშვილმა, რომ მინდო შიაც რომა ჰყოლოდათ ვისმე საქ ნელი გაშვებული, ბოქაულის შიშ

ბუზსაც ვერ აუფრენდნენ, ახლა კი დრონი იცვალნენ და გაუხსნილდათ ოსებს ქურდობისათვის. 12 იანვარს, ღამე, კარალელი გლეხი სოსია ხარბეგაშვილის თავლას ეწვივნენ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები, მერე როგორ ეწვივნენ. რადგანაც კარები ჩაკლიტული იყო და გარედან გატეხა შეუძლებელ იყო, მათ სანათურის ფანჯარა გამოიღეს, გადაბრძანდნენ შიგ თავლაში, აუშვეს ერთი კარგი რჩეული ხარი, გამოაღეს შიგნიდგან კარი და გაუყენეს გზასა. ისე მოხერხებულად და ფრთხილად მოახერხეს ეს ქურდობა ოსებმა, რომ შიგ თავლაში მწოლარე ორმა კაცამ მოჯამაგირეებმა ვერა გაიგეს რა გათენებამდინ. მოჯამაგირეები ამბობენ, რომ ეგ ხარი ალბათ იმ ოსებმა მოგვპარეს, რომლებმაც ჩვენი თავლა კარგათ იციან, და ღამე გაუთევიათ შიგ. მაგრამ სიკეთის დანახვა ხომ ყველამ არ იცის.

⁂ **სოფ. ძაკერა. ყვავილი.** იანვარში ყვავილმა იმსხვერპლა მელქუაშვილის ბავშვი. ამის მეტი ჯერ არავინ გარდაცვლილა. ავადმყოფობა კი მთელ სოფელშია მოდებული, შველა კი არსაიდან არის.

⁂ **განმე მესხის** (გვარამაძის) **წერილი.** პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ჩემს ორიოდე მოხსენებას.

ადრე ჩვენს ქართველ კათოლიკე მამებს არა მარტო ქ. კონსტანტინეპოლში შეეძლოთ ქართულის წიგნების ბეჭდვა, არამედ საფრანგეთშიაც ქ. მონთობანს, სადაც საკუთარი სახლი და ბაღიც ჰქონდათ. რესპუბლიკის განკარგულებით დღემდის დაშორებულ იყვნენ ჩვენი მამანი და დღეს კი დიდის მოწყალებით მიუღიათ ისევ მონთობანში მამა ანდრია წინამძღვარი სამის მოწაფე დიაკვნებითა, რომელნიც მიუღია ადგილობრივ ეპისკოპოსს სემინარიაში მაღალ სწავლათა და ღვთის-მეტყველების სასწავლებლად.

ჩემს ახალს მღვდლობაში პარიზის აკადემიის ლექსიკონი, საფრანგეთში გამოცემული სომხურს და თათრულს ენაზედ ვსთარგმნე ფრანგულიდამ ქართულად და გარდავეც დასაბეჭდად განსვენებულს მამა პეტრე ხარისჭირაშვილს, რომელიც შეიცავდა 1200 გვერდზედ მეტსა. მან ვერ შეიძლო დაბეჭდვა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო.

აი რასა მწერს ხსენებული მამა ანდრია სხვათა შორის: „ის თქვენი ნათარგმნი ლექსიკონი შევასწორე, ზოგი დავუმატე და ზოგი გამოვაკელ, რომელიც აღარ იყო ხმარებული აკადემიისაგან: ზედ რუსულიც დავუმატე და იქმნა სამი ენის ლექსიკონად. ვსთხოვე პირისპირ ჩემს პარიზში ყოფნისა გარეშე მინისტრს, დაებეჭდათ სახელმწიფო წარსაგებითა ის ლექსიკონი და დამპირდა მის დაბეჭდვასა, განხილვის შემდგომ რომ აღმოჩნდება სასარგებლოთ“.

იგივე მამა ანდრია აფუძნებს მონთობანში საწიგნეს ევროპიულ და ყოველს ენებზედ დაბეჭდილსა, რაც დაწერილა კავკასიაზე და უფრო ქართველ მესხებზედა ძველადგანვე. ამისთვის სთხოვს უმორჩილესად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და კერძო პატივცემულ გამომცემელთა ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს, ბ-ნ ი. როსტომაშვილს და სხვათა, ნუ დაუზოგვენ თავიანთ გამოცემას თითოოროლა ბროშურათა.

ადრესი: Frane· Perce Andre Simonaty. Superieur du Scholastical Rue de l'Elagite. Barn et-Garanuc, Montauban·

ასრევე მწერს მამა ალექსანდრე კონსტანტინეპოლიდგან, რომელსაც აქვს ვრცელი სასწავლებელი იქვე იენიშაჰრის უბანში: ვასწავლი სხვათა მოწაფეთა შორის მაჰმადიანთაცა, რომელნიც ქართულ წიგნებისათვის ყელს იჭრიან; არ მჯერდებიან, რაც მომეძევა; ახალ-ახალ გამოცემულ ნაირ-ნაირ გონების გასახსნელს წიგნებს მთხოვენ და მე ვინ მომცაო? დიდ მოწყალებას მოიღებენ პატივცემულნი რედაქციები და წიგნების გამომცემელნი, რომ თავიანთს წვლილს მომაწოდებდნენო! არა მარტო მოწაფენი ეტრფიან ქართულს წერა-კითხვის რიგიან შესწავლას, ისევე ჰასაკ მიწევნილნი, მოსხეპილნი ვაჟკაცნიცა დიდ სახელად სთვლიან ქართულის შესწავლასაო! მით ყოველი ძველ-ახალი გამოცემანი გაზეთები იყოს თუ ჟურნალნი, ლექსები რიგიან დაწერილნი და რომანები, მეტად გამოსადეგი იქმნება მათთვის.

ფრანგებისთანა დიდათ კაცთ-მოყვარე ტომი არა მარტო თანაგვიგრძნობს ჩვენ პირად ყოველ კეთილ საქმეში, არამედ კიდევ საქმითაც საჭირო შემწეობას გვაძლევს და რა დიდი რამ იქმნება რომ ჩვენს გაბნეულ ტომს აჭარლებს, მესხებს და მისთანებს შევეწივნეთ და დავიკავშიროთ ლვიძლ-ძმებად პირვანდელსავით!

⁂ **შორაპნის მაზრა. ხალხის უვიცობის შედეგი.** მოგეხსენებათ, თუ კი სოფელი ედირსება სკოლას, ვინ იქნება ისეთი ღმერთ-გამწყრალი, რომ სკოლა იუაროს, ისე ძვალსა და რბილში გაუჯდა ხალხს სკოლის სარგებლობის მნიშვნელობა, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, თურმე კიდევ ყოფილა საქართველოში იმისთანა სოფლები, რომლის მცხოვრებნიც იძახიან: „არ გვინდა სკოლა, სულ ტყუილად რომ ასწავლონ ჩვენს შვილებს, მაინც არ შევიყვანთ სკოლაშიო“ და სხვ. საუბედუროდ-მეთქი, ამისთანა სოფელი იმყოფება საქართველოს იმ კუთხეში, სადაც რომ შენიშნულია და საზოგადოდ აღიარებულია, რომ სწავლა-განათლებას უფრო მისდევენ. ეს სოფელი გახლავთ კაცხი, რომელიც ასე ურიგოდ გამოერჩია მთელს იმერეთს, სადაც საზოგადოდ სწავლის გულისათვის, ვინ იცის, სად არ მიდიან და რა ღონეს არ ხმარობენ. კაცხში, მთავრობამ მოინდომა გაეხსნა სამინისტრო ორ-კლასიანი სასწავლებელი, თუ კი სოფელი განაჩენის ძალით დაპირდება სკოლისთვის ერთ დღიურ მიწას და ყოველ წლიურად გამოიღებს 900 მანათსო, ამ საქმის მოწყობა მინდობილი ჰქონდა ადგილობრივ ბოქაულს ბ. ნოვოხატნის, რომელმაც მართლა ბევრი იმეცადინა ამ საქმეზე და მადლობის ღირსიც არის. კაცხელებისათვის ზემოდ ხსენებული პირობები მაინც და მაინც არ იყო საძნელო, მით უმეტეს, რომ სოფელს აქვს საზოგადო მოედანი, რომლიდგანაც შეეძლო სკოლისთვის გამოეყო ერთი დღიური და შვიდი აბაზიც კომლზე, არ იყო ძნელი გარდასახადი, რადგან 30 კომლი ღარიბები არაფერს იხდიდნენ; ამასთანავე ადგილობრივმა მამასახლისმაც აღუთქვა სკოლას ამ თავით 50 მანათის შეწევნა. ამ გარემოებაში იყო საქმე და ბ. ნოვოხატნი თითქმის მთელი ოთხი თვე დადიოდა ყოველ კვირა და ელაპარაკებოდა ხალხს და უხსნიდა სკოლის უსაჭიროებას, მაგრამ ხალხმა ცივი უარი განაცხადა — და სოფელი არასფრის გზით არ დაყაბულდა; ბოქაულსაც მოსწყინდა იქ სიარული და საქმე მიჩუმდა, მაგრამ იმედი გვაქ ბ. ნოვოხატნი კიდევ სცდის ამ სასარგებლო აზრის განხორციელებას. ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ ბ. მაზრის უფროსს მოელაპარაკნა ხალხთან, იმას როგორც ქართველს კაცს, იქნება უფრო დაუჯერებდა ხალხი და სოფელი. დასასრულ, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ სოფელი ასეთ ცივ უარზე დგას?! როგორც კერძოთ ყური მოვკარით, მიზეზად იმას ამბობენ, თურმე, რომ სოფელს ბევრჯელ ქონია საეკკლესიო სკოლები და სარგებლობა ვერავის უნახავს და ის კი არ იციან, თუ ორ-კლასიან სამინისტრო ნორმალური სკოლა და საეკკლესიო სკოლა დიდად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან და მათი მოქმედების შემდეგი სულ სხვა-და-სხვაა. მეორე მიზეზად იმას ამბობენ, რომ ხალხს ეშინია, შემდეგში ამ გადასახადს მოგვიმატებენო და ვაი თუ შვიდი აბაზი შვიდ მანათამდინ ავიდესო, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვინ გაწყო, ვისაც ჭკუა აქვს. ასეა კაცხში სკოლის საქმე ჯერა, დავინახოთ, შემდეგში რა იქმნება.—ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ბოქაული კვლავინდებურად შრომას არ დაიზარებს, როგორმე საკეთილოდ ბოლოს მოუღებს ამ საჭირ-ბოროტო საქმეს კაცხელებისათვის.

⁂ **ცენზორის ოხუნჯობა.** გერმანიის ერთს ცენზორს წარუდგინეს ერთი თხზულება, რომლითაც ავტორი ამტკიცებდა, რომ 1896 წელს, 10 ივლისს ქვეყნიერობას ბოლო მოეღებაო, ცენზორმა წიგნს დააწერა: „შეიძლება დაიბეჭდოს მხოლოდ 1897 წელს“.

⁂ **გამოიდარა?** გამოჩენილი მწერალი შერიდანი ერთხელ ერთ ხანში შესულ გაუთხოვარ ქალის სახლში იდგა. ქალს ძლიერ გულით უნდოდა მასთან ლაპარაკი, სეირნობა, მაგრამ შერიდანს ეს არაფრად ეპიტნავებოდა. ერთხელ ქალი ჩააცივდა, ბაღში წავიდეთ სასეირნოდაო. შერიდინმა უპასუხა, ვერ წამოვალ, ცუდი დარიაო. ცოტა ხნის შემდეგ ქალი შეჰხვდა ბაღში შერიდანს, რომელიც მარტო დასეირნობდა.

— ეს რასა ვხედავ, ბატონო შერიდან, მაშ გამოიდარა?

— ცოტათიო, უპასუხა შერიდანმა, ერთის კაცისთვის საკმაოდ გამოიდარა, მაგრამ ორისთვის-კი ჯერ არაო.

⁂ **ჭკვიანი მოსამსახურე.** ერთს კნეინას სოფლად სტუმრები მოუვიდა. საღამო იყო, ჩაის დრო. გოგოს უბრძანა, სამოვარი დადგიო. მოსამსახურემ ბრძანება აასრულა, მაგრამ, როცა სამოვარი ადუღდა, აღმოჩნდა, რომ სახლში ჩაიც გამოლეულიყო და შაქარიცა. კნეინა სტუმრებთან ეკითხება გოგოს:

— სამოვარი მზათ არის?

— სამოვარი მზათ გახლავთ, მაგრამ ეს არის, შაქარუხანთ ჯეჯელამ ჩაარაო,—უპასუხა ქალბატონსა და იმანაც განკარგულება მოახდინა, ჩაი და შაქარი ფიცხლავ მოეტანათ.

რკინის გზის ამბები.

ნატანები. 14 იანვარს სადგურიდგან რომ დაიძრა მატარებელი, ორს კაცს უნდოდა შემხტარიყვნენ ვაგონის კიბეზედ, რომელზედაც კონდუქტორი დოლიძე იყო და არ უშვებდა. მაშინ ერთმა მათგანმა დოლიძეს რკინის კეტი დაჰკრა თავში. მცირედ დაშავებული დოლიძე სადგურს სუფსაზე მოიყვანეს და ჭრილობა შეუხვიეს.

თეატრის მატიანე.

ქართული თეატრი. ოთხშაბათს, 15 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იყო „ყაჩაღები“ შილლერისა.

ეს პიესა ათჯერ მეტად არის წარმოდგენილი და ერთხელაც ვერ ვნახეთ შეწყობილად ნათამაშევი უპირველეს როლების მოთამაშეებისა, გარდა ალექსი-მესხიშვილისა, რომელიც ფრანც მოორის როლს თამაშობდა. ქ. ავალიშვილისა ჩვეულებრივ კარგი იყო ამალიას როლში. ბ. სვიმონიძე (კარლ მოორი) მშვენიერი იყო გარეგანის შეხედულებით, მაგრამ რაც შეეხება როლის დახასიათებას, ნაკლულევანება ეტყობოდა. ეს დალოცვილი აგერ რვაჯერ თუ ცხრაჯერ თამაშობს ამ როლს და მაინც ერთი სიტყვაც არ უთქვამს პიესიდამ. კარგები იყვნენ შათირიშვილი (შვეიცერი) და კანდელაკი (შპიგელბერგი). ბ-ნ ადამიძეს და სხვებს რომ საზოგადოება წარა-მარა არ ეცინებინათ უხეირო თავის დაჭერით, ის ემჯობინებოდა.

გამოსადეგი ცნობა

შუშის მოვლა.

ნაფხაჭნი აუშნოებს შუშას, ამიტომ მათ ამოსაყვანად აიღეთ ინგლისური ფერი (rouge d'Angleserre), რამდენსამე წვეთ ღვინის სპირტში გახსენით და დაფხაჭნილი ადგები იმით ხეხეთ შამშით.

შუშისა და სარკეების საწმენდად ბევრი კარგი საშუალებაა: აი ზოგიერთი მათგანი:

1. კუბის საღებავი (кубовая краска) ძალიან წმინდად უნდა დაინაყოს, სველი მჩვრით აიღოს და იმით ხეხოს შუშა, შემდეგ გარეცხოს.

2. გახეხილი ფლანელი უნდა დასველდეს და იმით გაიწმინდოს შუშა, შემდეგ რბილი, ნაზი რამ მჩვრით უნდა გამშრალდეს.

შუშას გასაწმენდად და გასამშრალებლად ტილოს მჩვარი არაოდეს არ უნდა იხმაროს, რადგან ტილო შუშას ფხაჭნის.

3. შუშის გასარეცხად ყველაზედ უკეთესი სველი დრუბელია, ხოლო გასამშრალებლად ძველი გაზეთის ქაღალდი.

4. ნიშადურიც კარგად რეცხავს შუშას. ერთ ვედრო წყალზედ ორი კოვზი ნიშადურის მარილი საკმარისია.

5. წყალში გახსნილი წმინდად დანაყილი ცარცც კარგია შუშის საწმენდად, აგრეთვე სპირტიცა.

6. დასველებული ნაზი რამ მჩვარი უნდა დაასვას უმარილს და იმით გალესოს შუშა, ისე დასტოვოს ვიდრე გაშრებოდეს; ხოლო როცა გაშრება, ზამშით ხეხოს იგი, ვიდრე გაიწმინდებოდეს.

თუ ქონისა ანუ ზეთის ლაქა აქვს შუშას, ხახვი უნდა წაუსვას ლაქაზედ და მაშინვე გაჰქრება.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 3 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება ერთ სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქისა სოლომონ აკოფას-ძე კუხიევისა, რომელიც იმყოფება სოლოლაკში. მიწის ზომა $21^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. დაფასებულია 216 მანათად.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაევისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. ზანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) გნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა $^{1}/_{16}$ ნაწილი „საციციანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ევანტია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით სავანელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ჩელიძესი.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო, გიორგის ძის ასპანძლაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ.; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათენს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავს მეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათენს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს [illegible] ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასხლმფითო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით ადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს.

ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

Подписка на 1897 г. открыта на

еженедѣльный

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ,

ПОЛИТИЧЕСКУЮ и ОБЩЕСТВЕННУЮ ГАЗЕТУ и НА

ЕЖЕМѢСЯЧНЫЯ КНИГИ „собраніе романовъ“ ИЗВѢСТНЫХЪ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ

1897 XIX ГОДЪ ИЗДАНІЯ. „РОДИНА“ 1897 XIX ГОДЪ ИЗДАНІЯ.

Открывая подписку на будущій 1897 г. (19-й годъ изданія), мы не будемъ говорить здѣсь о томъ количествѣ, въ которомъ расходятся изданія „Родина“, и навязывать какія-либо широковѣщательныя обѣщанія и рекламы. Какъ уже извѣстно нашимъ читателямъ, „Родина“ достаточно зарекомендовала себя точнымъ выполненіемъ объявляемой программы, и въ 1897 г. она останется такою же, какою была и въ послѣдніе годы, причемъ будетъ продолжать также изъ года въ годъ увеличивать количество литературнаго и художественнаго матеріала.

Помѣщая въ своихъ изданіяхъ главнымъ образомъ то, что касается нашего дорогого отечества, и совершенствуя ихъ какъ по внѣшнему виду, такъ и по внутреннему содержанію, Редакція и впредь не остановится въ своемъ стремленіи къ улучшенію „Родины“ и въ будущемъ году дастъ своимъ читателямъ интересный и легкій для чтенія матеріалъ, вышедшій изъ-подъ пера лучшихъ русскихъ писателей и вполнѣ подходящій для каждаго члена русской семьи.

Въ 1897 г. Редакція дастъ своимъ подписчикамъ за **четыре** рубля (съ упаковкой и пересылкой—**6** руб.) нѣсколько изданій съ **безплатными** многими приложеніями безъ всякой приплаты за упаковку и пересылку премій, а именно:

52 №№ еженедѣльной газеты, убористой печати, въ которой будетъ помѣщаться все, что можетъ интересовать читателя въ области правительственныхъ распоряженій, внѣшней и внутренней политики, новостей дня, науки, литературы, искусства, а также ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ФЕЛЬЕТОНЪ (факты и курьезы изъ столичной и провинціальной жизни), стихотворенія, сценки и проч.

52 №№ еженедѣльнаго ЖУРНАЛА, четкаго убористаго шрифта,—СЪ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ, на глазированной бумагѣ,—содержащаго въ себѣ русскіе оригинальные (не переводные) романы, повѣсти, очерки, этюды и разсказы, преимущественно изъ исторической и современной русской жизни, стихотворенія и проч.

При **иллюстрированномъ журналѣ** также будетъ выходить значительно расширенный и дополненный посравненію, съ прежними годами отдѣлъ подъ названіемъ:

РАЗВЛЕЧЕНІЕ въ часы отдыха,

въ которомъ будутъ помѣщаться юмористическія сцены въ прозѣ и стихахъ съ иллюстраціями, а также задачи, физическіе опыты, шарады, семейныя игры: шахматы, шашки, домино и проч.

12 ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ КНИГЪ „СОБРАНІЕ РОМАНОВЪ“ ПОВѢСТЕЙ И РАЗСКАЗОВЪ ИЗВѢСТНЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ.

Каждая книга объемомъ 200—350 стран. въ 8-ю долю листа, что составитъ въ концѣ года пріятную и полезную

семейную библіотеку

Кромѣ того, въ теченіе года каждый подписчикъ получитъ:

2 № „Сельскаго Хозяйства и Домоводства“, а также садоводства и ухода за комнатными растеніями.
12 № „Для Дѣтей“, повѣсти, разсказы и стихотворенія съ рисунками.
12 № Модъ и рукодѣлій: около 500 рисунковъ съ описаніемъ къ нимъ, которые замѣняютъ спеціальный модный журналъ, необходимый въ каждой русской семьѣ.
12 № Модныхъ выкроекъ въ натуральную величину, въ которыхъ въ теченіе года будетъ помѣщено до 900 чертежей выкроекъ въ натуральную величину.
12 № Рисунковъ для выпиловки рамокъ, этажерокъ, подчасниковъ и проч. ажурныхъ работъ.
12 № Листовъ узоровъ для тамбурныхъ, канвовыхъ и другихъ работъ, отпечатанныхъ въ нѣсколько красокъ и составляющихъ въ концѣ года изящный «Альбомъ».
12 № Нотъ а) Для пѣнія (съ текстомъ) и
б) Для инструм. (фортепіано, скрипки, гитары и пр.).
12 № Выпусковъ драматическихъ сочиненій, подъ названіемъ «домашній театръ».
12 № „Всемірнаго Путешественника“, разсказы, повѣсти и приключенія изъ путешествій.

Сверхъ всего, Редакція „Родины“ дастъ своимъ подписчикамъ

БЕЗПЛАТНО:

1) Стѣнной Табель-Календарь на 1897 г., изящно отпечатанный разными красками и золотомъ.

2) Календарь-Собѣседникъ на 1897 г.,—книжка большого формата, въ двухъ частяхъ. Часть первая—Справочный отдѣлъ: календари православный, еврейскій магометанскій; именословъ: великіе праздники; церковная служба и проч. Часть вторая—Литературный отдѣлъ, содержащій въ себѣ небольшія, легкія для чтенія. произведенія лучшихъ современныхъ авторовъ и Юмористику. (1 и 2 гг. подписчики получатъ съ первымъ номеромъ журнала и газеты).

3) Въ переплетѣ большой Иллюстрированный литературный Альбомъ

„БИБЛЕЙСКІЕ МОТИВЫ“

(Ветхій Завѣтъ Священной исторіи отъ царствованія Давида до рожденія Іисуса Христа).

Около 80 большихъ, на библейскія темы, рисунковъ знаменитаго художника Г. Доре со стихотвореніями къ каждому рисунку извѣстнѣйшихъ русскихъ поэтовъ: Н. Майкова, Я. П. Полонскаго, К. М. Фофанова. С. Г. Фруга, К. Н. Льдова, Д. С. Мережковскаго, Н. М. Минскаго, С. Я. Надсона, О. Н. Чюминой (Михайловой) и многихъ другихъ.

Этотъ Альбомъ служитъ продолженіемъ иллюстрированнаго альбома „Библейскіе мотивы“, первый выпускъ котораго (отъ сотворенія міра до царствованія Давида) вышелъ при журналѣ „Родина“ въ 1896 г. Гг. новые подписчики могутъ получить выпускъ I-й въ переплетѣ за одинъ руб., съ пересылкой.

4) **Народный лечебникъ**, большой томъ (II-й) подъ названіемъ:

„ДРУГЪ СЕМЬИ“,

содержащій въ себѣ массу необходимыхъ для каждаго семейства практическихъ совѣтовъ и указаній какъ сохранить свое здоровье и къ какимъ средствамъ при заболѣваніи, слѣдуетъ прибѣгать до прибытія врача.

Этотъ большой томъ, который выйдетъ въ видѣ безплатнаго приложенія къ журналу „Родина“ въ 1897 г., является вторымъ томомъ народнаго лечебника „Другъ Семьи“, первый томъ котораго вышелъ при „Родинѣ“ въ 1896 г. и содержитъ въ себѣ общія свѣдѣнія о гигіенѣ, о пищѣ, о вліяніи ея на организмъ человѣка и о лечебныхъ свойствахъ нѣкоторыхъ пищевыхъ продуктовъ.

Гг. новые подписчики могутъ получить первый томъ за 50 коп. съ перес.

5 и 6) **ДВѢ БОЛЬШІЯ КАРТИНЫ**

ОЛЕОГРАФІИ (воспроизведенныя масляными красками въ 23 тона, каждая размѣромъ 48×35 сантим.).

I

ПОСЛѢДНІЯ МИНУТЫ ГОДУНОВЫХЪ.

(По картинѣ академика **Маковскаго**).

II

ІИСУСЪ ХРИСТОСЪ ВЪ ДОМѢ МАРІИ И МАРѲЫ.

(По картинѣ художника **І. Гофмана**).

4 Р. Подписная цѣна на журналъ и газету за годъ: 52 №№ иллюстрирован. журн., 52 №№ полит. газеты, 12 книгъ „СОБРАНІЕ РОМАНОВЪ“, 108 даровыхъ приложеній и премій безъ пересылки **4 Р.**

Въ С.-Петербургѣ съ доставкой—5 руб. Съ упаковкой и пересылкой по всей Россіи—6 руб.

Разсрочка допускается: при подпискѣ—2 р., 1-го марта—1 р., 1-го іюня—1 р., 1-го августа—1 р. и 1-го сентября—1 р.

А также въ три и два срока по желанію.

ПОДПИСКА АДРЕСУЕТСЯ ИСКЛЮЧИТЕЛЬНО ВЪ РЕДАКЦІЮ „РОДИНА“ ВЪ С.-ПЕТЕРБУРГЪ, ЛИГОВСКАЯ УЛ., СОБСТВ. ДОМЪ, № 114.

Редакторъ-издатель А. А. Каспари.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 го Января, 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.